

ხელშეკრულება N GIZ/6
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

17 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ-„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის თამაზ დარჩიძის სახით და მეორე მხრივ ი/შ „ლალი დაგლას-ჰამილტონი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“). წარმოდგენილი ლალი დაგლას-ჰამილტონის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების ტერმინების განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 1.2. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.3. „მიმწოდებელი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.4. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2019 წლის 20-22 მაისს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ინიციატივითა და ორგანიზებით გასამართი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “საქართველოს ბიომრავალფეროვნების კვლევისა და კონსერვაციის მიღწევები და პერსპექტივები” ფარგლებში სინქრონული თარგმანის (ინგლისურ-ქართულ-ინგლისური) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
- 2.2. CPV ოდი - -79540000 - სათარჯიმნო მომსახურება;

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1000 (ერთი ათასი)** ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მოწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2. დაფინანსების წყარო - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) საგრანტო პროექტის სახსრებიდან.
- 4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 4.4. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“-ს დირექტორის მოადგილე თინათინ ბარბლიშვილი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

- 6.1. მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს 2019 წლის 20-22 მაისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და განახორციელოს ხარისხის კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე თინათინ ბარბლიშვილი.
- 7.2. შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 7.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.

8.2. მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

- ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევა მოხდა ვადების დარღვევით.
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების და მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული დავის წარმოშობიდან 15 დღის განმავლობაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა და მოქმედების ვადები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი“

მის: ქ. თბილისი, ბოტანიკური ქ. #1

ს/კ: 404405960

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

ანგ. #741 887 499

დირექტორი

თამაზ დარჩიძე

მიმწოდებელი:

ი/შ „ლალი დაგლას-ჰამილტონი“

მის: ქ. თბილისი, ი.უჩანეიშვილის ქ, ჩიხი 1, სახლი #18

ს/კ: 01010006386

ბანკი: თიბისი ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ: GE06TB7002736010100092

ლალი დაგლას-ჰამილტონი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

17 მაისი 2019 წელი

ვადასტურებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა და ი/მ „ლალი დაგლას-ჰამილტონი“-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტს.

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის

დირექტორი

თამაზ დარჩიძე